საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მიხეილ თამარაშვილის ქ. №136, მშენებლობის II ეტაპით ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობაზე

თბილისი 17.01.2026 წ.

დავალების თანახმად, საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქ. №136-ში მშენებლობის II ეტაპით ასაშენებელი მრავალფუნქციური შენობის დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობაზე.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქ. №136-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქ. №136-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისი ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქ. №136-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისი ვაკე-საბურთალოს რაიონი, თამარაშვილის ქ. №136-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები

პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. “არტპროექტი”-ს მიერ, დირექტორი ბ. ჯუგაშვილი, პროექტის მთ. არქიტიტექტორი დ. ლეჟავა, მთ. კონსტრუქტორი ბ. ჯუგაშვილი.

მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის (რომელმაც განიცადა ცვლილება სამშენებლო მოედანზე განთავსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნების გამო) და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 70 კგ/მ2;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

შენობის მზიდი კონსტრუქციების სივრცითი მოდელი გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსი "ЛИРА-САПР 2013 (R3)"-ის საშუალებით, ანგარიში შესრულებულია სამშენებლო მოედნის გეოფიზიკურ კვლევებზე დაყრდნობით შერჩეული საანგარიშო აქსელეროგრამების პაკეტის გამოყენებით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დასაპროექტებელი ნაგებობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა ღერძებში მაქსიმალური ზომებით 14,40X43,20 მ, იგი 25 სართულიანია, მათ შორის ერთი მიწისქვეშა სართულით, სადაც განთავსებულია ავტოსადგომი. ნაგებობას განივი მიმართულებით გააჩნია ორი, ხოლო გრძივი მიმართულებით 6 მალი.

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ, 2015 წლის აგვისტო-სექტემბერში, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №13-ში (ს/კ 01.10.16.004.172), ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

გამოიყოფა 5 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი **(სგე):**

სგე I – ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხა (ფენა 1);

სგე II – რბილპლასტიკური კონსისტენციის თიხა (ფენა 2);

სგე III – რბილპლასტიკური კონსისტენციის თიხნარი (ფენა 3);

სგე IV – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4);

სგე V – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 5).

უბნების გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შენობის დაფუძნება ხორციელდება ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯებით, რომელთა წვეროები უნდა ჩაღრმავდეს სამშენებლო უბანზე გავრცელებულ ნაკლებად გამოფიტულ კლდოვან გრუნტში (**V სგე**) არანაკლებ 3,0 მ-ით;

ფუძე გრუნტის საანგარიშო მახასიათებლებია:

სიმკვრივე -2,30 კგ/სმ^2

საგების კოეფიციენტი – 120 კგ/სმ2

პუასონის კოეფიციენტი – 0.20

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ

მდგომარეობაში R= 110 კგ/სმ2

შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, დიაფრაგმები, რიგელები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამით იქმნება ერთიანი ხისტი დიაფრაგმა, რაც მნიშვნელოვანია სეისმიური დატვირთვების მისაღებად.

ხიმინჯების დიამეტრი 1500 მმ-ია, მისი სიღრმე 18 მ-ის ფარგლებში მერყეობს და დაზუსტდება ადგილზე, ხიმინჯების თავზე ეწყობა რანდკოჭები განივი კვეთით 1500X1000(h) მმ და ფილა სისქით 20 სმ. ხიმინჯებში, რანდკოჭებსა და ფილაში ბეტონი დამზადებულია სულფატომედეგ ცემენტზე, კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B40.

მიწისქვედა ნაწილში შენობას გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის სარდაფის კედლები, სისქით 400 მმ., ბეტონი სულფატომედეგ ცემენტზე დამზადებული, კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B40.

სვეტები მონოლითური რკინაბეტონისაა, მისი განივი კვეთი +4.40 ნიშნულის ჩათვლით 500X1400 მმ-ია, +4.40 ნიშნულიდან +30.80 ნიშნულამდე 500X1200 მმ ხოლო +30.80 ნიშნულს ზემოთ 500X1000 მმ; ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B40 -ია.

რიგელები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 500X600(h) მმ.

რიგელებში ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B40 -ია.

გადახურვები და კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა, სისქით 18 სმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B40.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება №003566-ის მიხედვით, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა №136, №01.10.16.004.315 საკადასტრო კოდზე, შპს „დომუს ჟგუფი''-ს მიერ, განხორციელებულ იქნა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 23.12.2021წ №5739049 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული აქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ნაწილობრივ შეიცვლილია კიბის უჯრედის რაოდენობა და ადგილმდებარეობები, ასევე შეცვლილია ტამბურების გაბარიტები და კარების რაოდენობა. ნაწილობრივ შცვლილია კოლონების გაბარიტები, შეცვლილია ლიფტის კაბინის გაბარიტები და ლიფტის კარის ადგილმდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების და ვიტრაჟების რაოდენობა, ადგილმდებარეობა, გაბარიტები და ნახატი, ასევე შეცვლილია აივნის გაბარიტები და ფასადებზე ჟალუზების რაიდენობა. +0.00 ნიშნულზე „6-7'' მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფილა და ფართი, ამავე ნიშნულზე გაუქმებულია საპარკინგე ადგილები და მოწყობილია კომერციული ფართები. პანდუსს მონაცვლებული აქვს ადგილი და პამნდუსთან მოწყობილია მოაჯირები. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების მოპირკეთება. შეცვლილია ბინების რაოდენობა, გაუქმებულია დუპლექსები და შეცვლილია დაკავებულობები. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტები,

სახურავზე დატებით ფიქსირდება ფართები. +77,10 ნიშნულზე „გ’’ ღერძთან „1“ და „7“ ღერძებთნ აივნებზე გაუქმებულია ფასადის კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების მასალები. სრულად არ არის ასახული რიგელები. დამატებით მოწყობილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემები „7“. დამატებით მოწყობილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემები. „7-1“ ფასადზე ჟალუზები მოწყობილია ერთიანი გაბარიტით.

ზემოთაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განხორციელდა შენობის ხელახალი გადაანგარიშება, და დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა უარყოფითად არ იმოქმედებს შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ. თამარაშვილის ქ. №136, ს.კ. №01.10.16.004.315, მშენებლობის II ეტაპით ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა უარყოფითად არ იმოქმედებს შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე

T: 551-24-30-18

ელფოსტა: Lerizam@mail.ru



ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Г-I № 174873

Настоящий диплом выдан Замбахидзе Лери Юрьевичу в том, что он в 1978 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1983 году окончил полный курс названного института по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от 22 июня 1983 г. Замбахидзе Л.Ю. присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор


Секретарь

м. п.

Город Тбилиси „28" IX 1983 г.

Регистрационный № 20925

Московская типография Гознака, 1976.



ДИПЛОМ

КАНДИДАТА НАУК

КД № 014076

Москва 18 апреля 19 Ю г.



Решением

Совета Грузинского политехнического института им. В.И. Ленина

от 22 ноября 1983 г. (протокол № 10)

Замбахидзе Лери Юрьевичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ

КАНДИДАТА

технических наук

Председатель совета

Ученый секретарь совета

CV ლერი ზამბახიძე



აკადემიური დოქტორი, პროფესორი

პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი: 10 მარტი. 1961 წ

ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და ორი შვილი

ეროვნება: ქართველი

მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №48, ბ. 6

საკონტაქტო ინფორმაცია: 2-61-57-69, 599-24-30-18, ელ. ფოსტა - Lerizam@mail.ru

განათლება:

1978-1983 წ.წ. - უმაღლესი, ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი;

1983-1989 წ.წ. - ასპირანტურა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

სამუშაო გამოცდილება:

2002-2006 წ.წ. - შპს მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველო,მოწვეული ექსპერტი;

1993 წ - დღემდე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამშენებლო მექანიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის №122 მიმართულება, პროფესორი;

1987-1993 წ.წ. - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სამშენებლო ფაკულტეტი, მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრა, ლაბორანტი;

1983-1987 წ.წ. - საპროექტო ინსტიტუტი „საქქალაქმშენსახპროექტი“,ინჟინერი.

2004-2015 წ.წ – ჯგუფი “ქართუ”, კონსტუქტორი

საქართველოს საინჟინრო აკადემია, „სტრატეგიული ობიექტების უსაფრთხოების საინჟინრო პრობლემები „-ს განყოფილება. აკადემიკოს მდივანი

პუბლიკაციები: 60 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 11 სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, 3 სახელმძღვანელო და 4 გამოგონება;

შესრულებული სამუშაოები

1. შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის რეკონსტრუქცია
2. ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია
3. გასართობი პარკი “ციცინათელა” დაბა ნატანებში
4. ბათუმის დელფინარიუმის შენობის კონსტრუქციული ნაწილი
5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის რეკონსტრუქცია
6. ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის I ბლოკის გუმბათის კონსტრუქციული ნაწილი
7. საერთაშორისო სკოლის შენობები (QSI) ქ. თბილისში, სასომხეთში

ქ. ერევანი, აზერბაიჯანში ქ. ბაქო, ალბანეთში ქ. ტირანა

8. სარფის საბაჟო გამშვები პუნქტი. უბაჯო მაღაზია და საკონფერენციო დარბაზი
9. ტელეკომპანია “რუსთავი-2”-ის ოფისის რეკონსტრუქციის კონსტრუქციული ნაწილი
10. რაგბის სტადიონი დიდ დიღომში, ფეხბურთის სტადიონი ქ.ფოთში
11. საზოგადოებრივი და საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობები
12. 1000-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა შენობა ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობასა და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ენების ფლობა:
ქართული (მშობლიური);
რუსული (თავისუფლად);
ინგლისური (საშუალოდ).

T: 599 24 30 18
Email: lerizam@mail.ru